საქართველოს ულამაზეს საზღვაო კურორტ ქობულეთის სანაპიროდან სულ რაღაც 24 კმ-ში კინტრიშის ეროვნულ პარკს შეგიძლიათ ეწვიოთ, სადაც იმოგზაურებთ უნიკალურ კოლხურ ტყეებში. კინტრიშის ეროვნული პარკი UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ტერიტორიას წარმოადგენს. აქ აღმოაჩენთ მდინარე კინტრიშის ულამაზეს ხეობას, ჩანჩქერებს და დატკბებით ტბიყელის ტბის თვალწარმტაცი ხედებით.

აქ ღრუბლებს ზემოდან დაჰყურებთ მთებს, ტყეებს, მდინარეებს, ტბებს და სიჩუმეს მხოლოდ ფრინველების ხმა არღვევს. გზად შესაძლებლობა გაქვთ უძველეს სოფლებსაც ეწვიოთ, სადაც ეზიარებით აჭარულ კულტურას, ტრადიციებს და სტუმართმოყვარეობას.

კინტრიშის ეროვნული პარკის შექმნის მიზანი კოლხური ტყეების, ფლორისა და ფაუნის დაცვა და შენარჩუნება იყო. კინტრიშის ეროვნული პარკი ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში შედის.

კინტრიშის ეროვნული პარკი 2018 წელს შეიქმნა, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი კი 1959 წლიდან არსებობს. მისი საერთო ფართობია 13 514 ჰა. კინტრიშის დაცული ტერიტორიების დაახლოებით 92% ტყითაა დაფარული რაც გამორჩეული მაჩვენებელია საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებთან შედარებით.



ქობულეთი, აღმაშენებლის N271

+995 544 33 44 33

info@parks.ge

კინტრიშის დაცული ტერიტორიები/Kintrishi Protected Areas

საქართველოს ეროვნული პარკები

კინტრიშის ეროვნული პარკი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge



ეკოტურიზმი


კინტრიშის ეროვნული პარკი ვიზიტორებს სთავაზობს სხვადასხვა სირთულის და ხანგრძლივობის საფეხმავლო, ველო, კულტურულ და ეკოსაგანმანათლებლო ტურებს. ბუნებაში პიკნიკის მოყვარულთათვის სპეციალური საპიკნიკე ადგილებია მოწყობილი, ასევე, გამოყოფილია ცეცხლის დასანთები და საკარვე ადგილები, ღამის გათენება ტურისტულ თავშესაფრებშიც არის შესაძლებელი, ტერიტორიაზე დაშვებულია რეკრეაციული თევზჭერა.

აჭარული ეთნოკულტურა და ტრადიციები კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის პარკში მოგზაურობას. სოფელი ხინო, სოფელი დიდვაკე, კინტრიშის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებია. აქ მცხოვრები სტუმართმოყვარე და თბილი მოსახლეობა უძველეს კულტურასა და ტრადიციებს გაგაცნობთ.

ეროვნულ პარკში 5 ეკოტურისტული, საფეხმავლო მარშრუტია:

- თამარის თაღოვანი ხიდი-რუშავის ჩანჩქერის ბილიკი
- ხინოს ჩანჩქერის ბილიკი
- ხინო-ტბა ტბიყელის ბილიკი
- ხინო-მთა პერანგას ბილიკი
- მთა პერანგა-ტბა ტბიყელის ბილიკი

კინტრიშის ეროვნული პარკის თანამედროვე სტანდარტის ვიზიტორთა ცენტრი ქალაქ ქობულეთში მდებარეობს. აქ შეძლებთ მოგზაურობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიებას. აქვე დაგეხმარებიან გიდის და ადგილობრივი ტრანსპორტის ორგანიზებაში. ვიზიტორთა ცენტრში, ასევე შესაძლებელია სალაშქრო აღჭურვილობის დაქირავებაც.





ბიომრავალფეროვნება

კინტრიშის ეროვნული პარკის უნიკალური კოლხური ტყეები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს. აქ მოგზაურობისას თქვენ გასაოცარ ლანდშაფტებს აღმოაჩენთ. მთების, ულამაზესი ხეობების, მცირე ზომის ღელეებისა და ვიწრო ხევებით დასერილი ტერიტორიების ერთობლიობა საოცარ სანახაობას ქმნის.

კინტრიშის ეროვნული პარკის განსაკუთრებული ჰავა მცენარეთა უნიკალურ მრავალფეროვნებას განაპირობებს. აქ მრავლად არის წარმოდგენილი ტყეები, რომელსაც ქმნის მარადმწვანე უთხოვრის, წაბლისა და სხვადასხვა სახეობის ხემცენარეები.

ეროვნული პარკი მურა დათვის, ფოცხვერის, წავის, კავკასიური ციყვის, მელას, არჩვის და ყველასათვის საყვარელი ულამაზესი შველის საბინადრო ადგილია.

მდ. კინტრიშის ხეობა მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქ გავრცელებულია: ბექობის არწივი, ქორი, მიმინო და სხვა. კინტრიშის ხეობა ასევე მნიშვნელოვანი საცხოვრებელი გარემოა კავკასიური როჭოსა და კავკასიური შურთხისთვის. მდინარეებში კი მრავლად გვხვდება კალმახი.





ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

ქობულეთის დაცული ტერიტორიები | მდებარეობს ქობულეთის სანაპიროდან 2 კმ-ში.

მტირალას ეროვნული პარკი | მდებარეობს ქობულეთიდან 27 კმ-ში.

კობალაურის, სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ქვის თაღოვანი ხიდები | თარიღდება XIX-XX სს-ით.

თეთროსნის ეკლესია | V-VI სს-ში განთავსებული იყო წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსი, სადაც ინახებოდა XVI ს-ში გადაწერილი “თეთროსნის დავითნი”.

წმ. ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია (1898-1910 წწ) | აქ დაბრძანებული იყო წმ. პანტელეიმონის სასწაულმოქმედი ხატი.

დაგვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი | XIX საუკუნის გუმბათოვანი ნაგებობა, აგებული ადგილობრივი ბერძნებისა და ქართველების მიერ.

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი პეტრა | სამხედრო-სტრატეგიული თუ სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო ბიზანტიისა და ირანის ინტერესის საგანს წარმოადგენდა.